სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-66

გორი 13 10 2017წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (11.10.2017. N1243053) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 20 ოქტომბერი; 14 საათი; უნივერსიტეტის IV სასწავლო კორპუსი (მის.: ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. N124; აუდიტორია N310);

2. ეს ბრძანება განთავსდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი